საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030181058701919

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4911 **21 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგულარულად უწევს შემჭიდროვებულ ვადებში სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ზემოაღნიშნულიდან გამომიდნარე, დაკისრებული ვალდებულებების დროულად გადახდის მიზნით საჭიროა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი-27 03 01) პროგრამის „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა ამავე პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

ასევე, „რეფერალური მომსახურება“ (პროგრამული კოდი: 27 03 03 09) პროგრამის ხარჯვის დინამიკიდან გამომდინარე საჭიროა პროგრამის პირველი კვარტლის „სოციალური უზრუნველყოფა“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა ამავე პროგრამების მეორე კვარტლის ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

კვარტლების დაბალანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“, „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში-სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა დანამატი“ და „სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში-სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი“პროგრამების ასიგნებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განახორციელოთ კვარტალურ განწერაში და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებები, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური